დანართი 1

დამტკიცებულია: 07/01-24, 21/06/2024

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამების, საკონკურსო პირობებისა და კონკურსის გამოცხადების წესი სტუდენტებისათვის

თბილისი
2024

მუხლი 1. ძირითადი მახასიათებლები

1.1. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საფუძველზე ახორციელებს სტუდენტებისთვის შემდეგ გაცვლით პროგრამებს:

1.1.1. ერაზმუს + ევროკავშირის უმაღლესი განათლების პროგრამა პარტნიორ უნივერსიტეტებთან; (შენიშვნა: ერასზმუს+ით გავლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტი აუცილებელია იყოს საქართველოს მოქალაქე).

1.1.2. ბილატერული გაცვლითი პროგრამა, პარტნიორ უნივერსიტეტებთან;

1.1.3. ვირტუალური სწავლების გაცვლითი პროგრამა, პარტნიორ უნივერსიტეტებთან.

1.2. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერიტეტის სტუდენტებისთვის მობილობა შესაძლებელია ყველა საფეხურზე (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო);

1.3. საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღება შესაძლებელია ბაკალავრიატის მეორე კურსის პირველი სემესტრის, მეორე, მესამე კურსის ან მეოთხე კურსის სტუდენტებისთვის;

1.4. საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა შეუძლიათ მაგისტრატურის პირველი კურსის მეორე სემესტრის სტუდენტებს.

1.5. საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღება დოქტორანტს შეუძლია დოქტორანტურის ნებისმიერ ეტაპზე, შესაბამისი სკოლის თანხმობის საფუძველზე.

1.6. გაცვლითი პროგრამების ხანგრძლივობაა არაუმეტეს ერთი სემესტრი ან ერთი აკადემიური წელი, სწავლის დასრულების შემდეგ მიმღები უნივერსიტეტი სტუდენტს აძლევს ნიშნების ფურცელს, რომლის მიხედვითაც ხორციელდება კრედიტების აღიარება.

1.7. მიღებული კრედიტების აღიარება ხორციელდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, რომელსაც სტუდენტი უზრუნველყოფს შესაბამისი საფასურის გადახდით.

1.8. გაცვლით პროგრამაში მონაწილე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტს, უნივერსიტეტში არ უჩერდება სტუდენტის სტატუსი.

1.9. არაპარტნიორ უნივერსიტეტში სტუდენტის ინიციატივით გამგზავრების შემთხვევაში, სტუდენტს მის მიერ წარმოდგენილი ჩარიცხვის ცნობის საფუძველზე უჩერდება სტუდენტის სტატუსი.

1.10. სტუდენტს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია არაუმეტესეს ერთ საბაკალვრო და ერთ მაგისტრატურის საფეხურზე.

მუხლი 2. სტუდენტის შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურები

2.1. აკადემიური მოსწრების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება GPA (მიღებული მონაცემების საშუალო). შეფასების საშუალო არის რიცხვი, რომელიც წარმოადგენს კურსებში დაგროვებული საბოლოო შეფასებების საშუალო მნიშვნელობას დროთა განმავლობაში, კუმულაციური GPA.

2.2. ინგლისურის საერთაშორისო სერთიფიკატი **TOEFL (78) IELTS (6.0); ან სხვა საერთაშორისოდ აღიარებული**, B1 ან B2-ის ექვივალენტი; (ინგლისური ენის, გაცვლითი პროგრამის კურიკულუმში არსებული სავალდებულო შეფასების შემთხევვაში B2-ის ექვივალენტი); გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სტუდენტი სწავლობს ინგლისურენოვან პროგრამაზე.

2.3. სამაგისტრო და სადოქტორი პროგრამების შემთხვევაში B2-ის ექვივალენტი;

2.4. არანაკლებ 1 პროფესორის რეკომენდაცია.
2.5. ჩართულობა სხვადასხვა სოციალურ, საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო პროექტებში, დადასტურებული შესაბამისი სერტიფიკატებით/ცნობებით.
2.6. სამოტივაციო წერილი, რომელიც შეფასდება ზეპირი გასაუბრებით.

მუხლი 3. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მსურველი სტუდენტის მიერ წარმოსადგენი ინფორმაცია

3.1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა სტუდენტმა დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს ელ.ფოსტაზე iro@ibsu.edu.ge:
3.1.1. CV-ის ევროპული ფორმატი (ინგლისურ ენაზე)
3.1.2. ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (ინგლისურ ენაზე)
3.1.3. ნიშნების ფურცელი (ინგლისურ ენაზე)
3.1.4. მოტივაციის წერილი (ინგლისურ ენაზე)
3.1.5. ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი/სერტიფიკატი
3.1.6. პასპორტის ასლი.

მუხლი 4. კანდიდატ სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები.

4.1. გაცვლით პროგრამაში არჩეული სტუდენტების შესახებ ინფორმაციაზე დგება შესაბამისი კომისიის ოქმი, რომელიც წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს, ბრძანების გამოცემის მიზნით.
4.2. შესარჩევი კომისია შედგება საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის, სასწავლო ნაწილში პრორექტორის, კვლევით ნაწილში პროექტორის და ადმინისტრაციულ ნაწილში პრორექტორისგან.
4.3. გამარჯვებული სტუდენტების შესახებ ინფორმაცია არის საჯარო და მისი განთავსება ხორციელდება ამ დებულებით დამტკიცებული კონკურსის გამოცხადების საინფორმაციო წყაროების მეშვეობით.
4.4. სტუდენტის შეფასება განხორციელდება:

4.4.1. მაღალი აკადემიური მოსწრება - ქულათა მაქსიმალური რაოდენობა 0-10

10-9 ქულა	სტუდენტის საშუალო ქულათა ჯამია (91–100)
8-7 ქულა	სტუდენტის საშუალო ქულათა ჯამია (81-90)
6-5 ქულა	სტუდენტის საშუალო ქულათა ჯამია (79-80)
4-3 ქულა	სტუდენტის საშუალო ქულათა ჯამია (78-71)
2-1 ქულა	სტუდენტის საშუალო ქულათა ჯამია 70 ან ნაკლები

4.4.2. მოტივაცია - ქულათა მაქსიმალური რაოდენობა 0-10
აღნიშნული კრიტერიუმი ახდენს კონკურსანტის როგორც არსებულ პროფესიაში ეფექტურობის, ასევე სამომავლო კარიერული და აკადემიური განვითარების პოტენციალის შეაფასებს. შეფასებისას საკონკურსო კომისიის წევრები ითვალისწინებენ თუ რამდენად
მოახერხა კონკურსანტმა:

- საკუთარი ეფექტურობის, შერჩეულ სფეროში აქტიური ჩართულობის დასაბუთება - **მაქსიმალური ქულა: 4**
- პროფესიული გამოწვევებისას ინიციატივის გამოჩენისა და შედეგზე ორიენტირებულობის დასაბუთება; - **მაქსიმალური ქულა: 3**

- შერჩეული უნივერსიტეტის/მიმართულების/აკადემიური პროგრამის მნიშვნელობის კონკრეტული დასაბუთება როგორც მისი პირადი კარიერული, ასევე შერჩეული დარგის განვითარებისთვის ქვეყანაში. - **მაქსიმალური ქულა: 3**

4.4.3. ზეპირი პრეზენტაცია, ენობრივი კომპეტენცია 0-10

10-9 ქულა	აპლიკანტი მეტყველებს თავდაჯერებულად, ლოგიკურად და თანმიმდევრულად; ყველასთვის გასაგები ხმის ტემბრით; აქვს შესანიშნავი გამოთქმა (pronunciation); კარგად შერჩეული ლექსიკის ფართო სპექტრი; გრამატიკული სტრუქტურების სიზუსტე და მრავალფეროვნება; ნათლად და დეტალურად აღწერს საუბრის საგანს, მუდმივად არის ორიენტირებული აუდიტორიაზე; ცდილობს შეინარჩუნოს თვალის კონტაქტი საუბრის დროს.
8-7 ქულა	აპლიკანტი მეტყველებს მეტ-ნაკლებად თავდაჯერებულად, ლოგიკურად და თანმიმდევრულად; იშვიათად ეძებს სიტყვებს; სიტყვათა უმნიშვნელო რაოდენობა გაუგებარია; აქვს ნორმალური გამოთქმა (pronunciation); კარგად შერჩეული ლექსიკა; უმნიშვნელო გრამატიკული უზუსტობები; საუბრის საგანი გასაგები და ნათელია, ძირითადად ორიენტირებულა აუდიტორიაზე; ძირითად შემთხვევებში ახერხებს შეინარჩუნოს თვალის კონტაქტი საუბრის დროს.
6-5 ქულა	აპლიკანტის მეტყველება ძირითად წილად ლოგიკურია, მაგრამ რიგ შემთხვევაში არათანმიმდევრული, ყოყმანობს საუბრისას, რამოდენიმე შემთხვევაში სიტყვები არ არის მკაფიო ან გაუგებარია, თუმცა გამოთქმა მეტწიალდ ადეკვატურია, გამოთქმის გამო არ იქმნება კომუნიკაციის პრობლემა; ძირითად აზრს გადმოსცემს გასაგებად მცირე გრამატიკული უზუსტობებით, ლექსიკა რელევანტურია საუბრის საგანთან, თუმცა საუბრის საგანი გასაგებია; აქვს რამოდენიმე წარმატებული მცდელობა იქონიოს თვალის კონტაქტი აუდიტორიასთან.
4-3 ქულა	აპლიკანტის მეტყველება არათანმიმდევრულია, საუბრისას ყოყმანობს, ეძებს სიტყვებს, გამოთქმა გასაგებია, მაგრამ 1-2 შემთხვევაში გამოთქმის გამო შეიქმნა კომუნიკაციის პრობლემა, ძირითად აზრს გადმოსცემს გასაგებად, მაგრამ უშვებს გრამატიკულ შეცდომებს საუბისას, იშვიათად იყენებს რელევანტურ ლექსიკას საუბრის საგანთან მიმართებით, აღწერას აკლია გარკვეული სიზუსტე და აკლია ზოგიერთი კრიტიკული დეტალი, რაც ართულებს მის გაგებას; უჭირს/არ ცდილობს იქონიოს თვალის კონტაქტი აუდიტორიასთან.
2-1 ქულა	აპლიკანტის მეტყველება ძირითადწილად გაუგებარია, საუბრობს ნელა, ჩუმად, მოკლე დაზეპირებული ფრაზებით, უჭირს გამოთქმა, საუბრისას უშვებს სერიოზულ გრამატიკულ შეცდომებს, არ იყენებს რელევანტურ ლექსიკას საუბრის საგანთან მიმართებით, რაც ხშირ შემთხვევაში შეუძლებს ხდის საუბრის გაგებას.არ აქვს თვალის კონტაქტი აუდიტორიასთან.

კვლევით კვლევით აქტივობაში ჩართულობა/ იბსუს სტუდენტური კონფერენცია10 / სხვა უნივერსიტეტს მიერ ორგანიზებული კონფერენცია 5.